საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3171
02/05/2023

3171-21-2-202305021440

შპს „ნექსარას"

მის: ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. №25

ელ. ფოსტა: trivendo@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 29 მარტის N2677 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კაკლის ბაღის მორწყვის მიზნით სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- N3.2 და N8.1 ცხრილებში („საჭირო წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით $მ^3$-ში"). დაზუსტებას საჭიროებს თვეების მიხედვით მითითებული წყლის რაოდენობები, საჭიროა კაკლის ბაღების მოსარწყავად არსებული და მოსაწყობი რეზერვუარებიდან, თუ იგულისხმება მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობა. ასევე, გაურკვეველია რომელ თვეებში და რა რაოდენობით ხდება წყლის აღება ირიგაციული არხიდან;
- N8.2 ცხრილში მოცემულია „მდინარეში დარჩენილი წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, მლნ $მ^3$"-ში, რომელთა გადაყვანით $მ^3$/წმ-ში მიიღება 0,004 $მ^3$/წმ-ის (4 ლიტრ/წმ) სიდიდის წყლის ხარჯი, რაც 100-ჯერ ნაკლებია მდინარეში დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის სიდიდეზე, რომელიც წარმოდგენილი ჰიდროლოგიური ანგარიშით, წყალაღების კვეთში ტოლი უნდა იყოს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის - 0,41 $მ^3$/წმ-ის. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წყალაღების წერტილის ქვემოთ, მდინარის დინების მიმართულებით დაახლოებით 4 კმ-ში, შპს „საქართველოს მელიორაციას" დაგეგმილი აქვს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის გ-33 გამანაწილებლისთვის დამოუკიდებელი წყლის ასაღებად საჭირო სათავე ნაგებობის მოწყობა;

- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული მდინარის მინიმალური ხარჯების დონეები, რაც საჭიროა სატუმბი სადგურების წყალშემწოვი მილების ჩაშვების ნიშნულის დასადგენად;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციას გაზაფხულის წყალდიდობისა და ზაფხულის წყალმცირობის გათვალისწინებით, მდინარეში დატოვებული წყლის რაოდენობების შესახებ და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ჰიდროლოგიური დასაბუთება საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან ტექნოგენურად დატვირთული მდ. იორიდან წყლის აღებისას, ჰიდროლოგიურ დასაბუთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება;

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 1 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო